საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3970
01/08/2022

3970-21-2-202208011303

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს
მის: ქ. ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №26
ელ.ფოსტა: kuxianidze87@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3037 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №7-ში, მეორადი პოლიეთილენის პარკების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის (ნარჩენების აღდგენა) პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის პირველ თავში მოცემულ ცხრილში მითითებული საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები არ ემთხვევა, მე-2 თავში მითითებულ GPS კოორდინატებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია დასამუშავებლად გათვალისწინებული ნარჩენების კოდები. კერძოდ, კოდი 15 01 01 წარმოადგენს ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთ მასალას. ხოლო, წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია პოლიეთილენისს ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობა;
- დოკუმენტში ნარჩენის კოდით 15 01 02 – „პლასტმასის შესაფუთი მასალა“ ქვეშ მოიაზრება სხვადასხვა სახის პლასტმასის შესაფუთი მასალები, მაგ: პლასტმასის ტარა, რომელსაც შესაძლებელია თან ახლდეს ეტიკეტი და სხვა დამატებითი კომპონენტები, ასევე შეიცავდეს ან/და დაბინძურებული იყოს სხვადასხვა ნარჩენებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნარჩენების აღდგენა მათი წინასწარი დამუშავების გარეშე (სორტირება, გარეცხვა და სხვა) მიზანშეწონილი არ არის. შესაბამისად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საწარმოში წინასწარ დამუშავებული ნარჩენების მიღება ან/და საქმიანობის პროცესში ნარჩენების საბოლოო აღდგენამდე მათი წინასწარი დამუშავება;
- წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საწარმო ამუშავებს 57 ტ/წ ნარჩენს, ტექნოლოგიური პროცესის დანაკარგი კი წარმოადგენს

10 %-ს. შესაბამისად, მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო